

**ნიკლას ლუმანის
„დაკვირვებანი მოდერნულობაზე“**

მოდერნულობის სოციოლოგი თეორეტიკოსები ორ დიდ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: ა) ისინი, რომლებიც ძირითად კონცეპტად დიფერენციაციის ცნებას იღებენ და ბ) ისინი, რომლებიც ასეთად რაციონალიზაციის კონცეპტს ირჩევენ. პირველ ჯგუფში მოთავსდებიან ისეთი ავტორები, როგორებიცაა: ემილ დიურკჰეიმი, ტალკოტ პარსონსი, პიერ ბურდიო; ხოლო მეორე ჯგუფში – ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავებული ფიგურები, როგორებიცაა მაქს ვებერი, ნორბერტ ელიასი, ჰერბერტ მარკუზე, იურგენ ჰაბერმასი და მიშელ ფუკო. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ დიფერენციაციისა და რაციონალიზაციის კონცეპტები ურთიერთგამომრიცხავია და ამიტომაც თეორიაში მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის გამოყენება შეიძლება. მაგალითისათვის, მოდერნულ საზოგადოებაში დიფერენციაციის პროცესი არც ვებერს გამორჩენია და არც – ჰაბერმასს. მაგრამ თითოეული ავტორის შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რომ გადამწყვეტ როლს თამაშობს გარემოება, დიფერენციაციის კონცეპტს ანიჭებს ის საფუძვლადმდებარე მნიშვნელობას თუ რაციონალიზაციის ცნებას.

ნიკლას ლუმანი² ერთმნიშვნელოვნად მოდერნულობის სოციოლოგთა პირველ ჯგუფს მიეკუთვნება. მისთვის მოდერნულობა დიფერენციაციის ტოლფასია. მაგრამ „დაკვირვებანი მოდერნულობაზე“,¹ რომელიც 1990 წელს გამოქვეყნდა, იწყება არა მოდერნულობის კონცეპტის განხილვით, არამედ პოსტმოდერნის დეკლარაციასთან პოლემიკით: ლუმანი უარყოფს ტერმინებს „პოსტმოდერნსა“ და „პოსტმოდერნიზმს“ როგორც თანამედროვე ეპოქის ადეკვატურ აღწერას. ეს უარყოფა პირველ რიგში ფრანგი ფილოსოფოსის, ჟან-ფრანსუა ლიოტარის 1979 წელს გამოქვეყნებული და 80-იან წლებში უაღრესად პოპულარული წიგნის „პოსტმოდერნის მდგომარეობა“ წინააღმდეგ არის მიმართული³, პირველ რიგში კი – ტერმინის წინააღმდეგ. თუ ლიოტარს პოსტ-

მოდერნად სამყაროს ერთიანი აღწერის შეუძლებლობა მიაჩნია – შეუძლებლობა, რომელიც თანამედროვე ეპოქას სხვებისაგან გამოარჩევს, – ლუმანის აზრით, რომელიც ლიოტარის ამ დიაგნოზს ეთანხმება, ეს შეუძლებლობა მოდერნულობის შედეგია და „პოსტ“ თავსართის ზედმეტი დრამატიზმი სიტუაციის გაგებას არ უწყობს ხელს.

მაგრამ რა არის მოდერნულობა ლუმანისათვის?

ზემოთ აღინიშნა, რომ ლუმანისათვის მოდერნულობა დიფერენციაციას ტოლფასია, მაგრამ არ თქმულა, რომ ეს არ ვრცელდება ნებისმიერი სახის დიფერენციაციაზე. საქმე ისაა, რომ ე. ნ. ტრადიციული საზოგადოებებიც დიფერენცირებულია, მაგრამ მოდერნული საზოგადოებისაგან განსხვავებული პრინციპის მიხედვით. ლუმანი საზოგადოების ევოლუციის პროცესში დიფერენციაციის ოთხ ფორმას გამოყოფს: 1. სემანტიკურს; 2. სტრატეგიკაციულს; 3. ცენტრსა და პერიფერიას შორის და 4. ფუნქციონალურს.⁴

სემანტიკური დიფერენციაცია არქაულ საზოგადოებებს ახასიათებთ. მისი პრინციპია ჩამომავლობა. ასეთი საზოგადოების ნაწილებია ტომები, ოჯახები ან სოფლები. საზღვრები მკაცრადაა გავლენილი ოჯახურსა და ოჯახისგარეთ შორის. ნაცვალებია ასეთი საზოგადოების მთავარი ნორმაა, რადგან ის უზრუნველყოფს თანასწორობას ოჯახებს (ტომებს, სოფლებს) შორის. ასეთ საზოგადოებაში ინდივიდის როლი წინასწარვე მკაცრადაა განსაზღვრული და არაა დამოკიდებული მის არჩევანზე, მოქმედებასა თუ შედეგიანობაზე.

ცენტრსა და პერიფერიას შორის დიფერენციაცია იერარქიულია: ცივილიზაცია ცენტრში, არაცივილიზებულია – პერიფერიაში. არსებობს უთანასწორობა იმისდა მიხედვით, საცხოვრებელი ადგილი ქალაქშია თუ სოფელში.

სტრატეგიკაციული დიფერენციაცია ისეთ საზოგადოებას გულისხმობს, სადაც რანგობრივი განსხვავებების გარეშე კლასიფიკაცია შეუძლებელია. ამ საზოგადოების მაღალ ფენას არისტოკრატია წარმოადგენს, რომელიც ჩაკეტილია, ხოლო ჩაკეტილობის რეპროდუქციის პრინციპს ენდოგამია წარმოადგენს. პოლიტიკურად ასეთი საზოგადოება ცენტრალიზაციის პროცესს გულისხმობს.

ფუნქციონალური დიფერენციაცია გულისხმობს იმას, რომ საზოგადოების ნაწილები ფუნქციების მიხედვითაა გამოყოფილი და, სწორედ ამ ფუნქციების გამო, უთანასწორო მდგომარეობაში იმყოფებიან. თუ საზოგადოებას როგორც სისტემას განვიხილავთ, მაშინ თითოეული ქვე-სისტემა იმ ფუნქციის მიხედვით ხდება დიფერენცირებული, რომელსაც ასრულებს. ყველაზე მნიშვნელოვანი ქვე-სისტემებია: პოლიტიკური სისტემა, ეკონომიკური სისტემა, მეცნიერების სისტემა, აღზრდის სისტემა, სამართლის სისტემა, რელიგიის სისტემა, ხელოვნების სისტემა, მედიცინის სისტემა, და ოჯახი. თითოეულ ფუნქციას ქვე-სისტემა ავტონომიურად ასრულებს და ვერ იტანს ჩარევას გარედან.

მიუხედავად იმისა, რომ ქვე-სისტემები არაა თანასწორი, ეს არ იწვევს მათ შორის იერარქიზაციის პროცესს. საზოგადოებას აღარც ცენტრი აქვს და აღარც – უმაღლესი წერტილი. არც ერთ ქვე-სისტემას არ აქვს პრიმატი.

წინარემოდერნულ ეპოქებში საზოგადოება შემოზღუდული იყო ტერიტორიული საზღვრებით. მოდერნული ანუ ფუნქციონალურად დიფერენცირებული საზოგადოება მსოფლიო საზოგადოებაა. სხვადასხვა ფუნქციები (პოლიტიკა, ეკონომიკა, მეცნიერება და ა. შ.) არა მხოლოდ გარკვეულ ტერიტორიაზე სრულდება, არამედ მთელს მსოფლიოშიც. საზოგადოების ერთიანობა ვეღარ ისაზღვრება ტერიტორიით – თუმცა განსხვავებების საკითხი გეოგრაფიულ სივრცეებს შორის რჩება, რასაც კიდევ დავუბრუნდებით.

არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ფუნქციონალურად დიფერენცირებულ საზოგადოებაში სეგმენტაცია და სტრატეფიკაცია ქრება. ისინი რჩება, ოღონდ არა როგორც დიფერენციაციის მთავარი სახეები. მაგალითად, სეგმენტაციის მაგალითი ფუნქციონალურად დიფერენცირებულ საზოგადოებაში არის ერი, ნაცია.

ესაა მოდერნულობის განხილვა სოციალური სტრუქტურის დონეზე. მაგრამ ლუმანის თეორიისათვის საფუძვლადმდებარე განსხვავება სტრუქტურასა და სემანტიკას შორის გადის. განსხვავება ამ ორ განზომილებას შორის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ლუმანი წიგნს სწორედ მისი გატარებით იწყებს:

„მოდერნული საზოგადოების მოდერნულობის ანალიზს სოციალური სტრუქტურისა და სემანტიკის განსხვავებით ვინყებ. ჩემ

მიერ ამ დასაწყისისათვის უპირატესობის მინიჭება – უპირატესობა, რომელიც დასაწყისშივე ვერ დასაბუთდება – დაკავშირებულია ამ განსხვავების ერთ დამაბნეველ თვისებასთან, კერძოდ კი იმასთან, რომ ის საკუთარ თავს შეიცავს. თავად ის სემანტიკური განსხვავებაა.“⁵

სემანტიკა – ეს საზოგადოების ცნებების მარაგია, რომლის საშუალებითაც ხდება სოციალური სტრუქტურის ინტერპრეტაცია. როდესაც იცვლება საზოგადოების სტრუქტურა და ფუნქციონალურ დიფერენციაციას აქვს ადგილი, შესაბამისი ცვლილება ხდება სემანტიკაშიც: პირველი ხარისხის დაკვირვებებიდან – ანუ დაკვირვებებიდან, რომლებიც ობიექტებზეა მიმართული – ხდება გადასვლა მეორე ხარისხის დაკვირვებებზე. მეორე ხარისხის დაკვირვებები აკვირდება თავად დაკვირვებას.

რას ნიშნავს ეს კონკრეტულად? პოლიტიკურ აზროვნებაში, მაგალითად, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს საზოგადოებრივი აზრი და მისი კვლევა, რაც იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკოსები აკვირდებიან იმას, თუ როგორ „აკვირდება“ მათ გადაწყვეტილებებს საზოგადოებრივი აზრი. ანდა მეცნიერების სფერო ავიღოთ, სადაც გადამწყვეტ როლს პუბლიკაციები თამაშობს – ანუ მეცნიერმა, რომელიც კვლევისას პირველი ხარისხის (ე. ი. ობიექტზე) დაკვირვებით არის დაკავებული, რეზულტატების გამოქვეყნებისას უნდა აჩვენოს, რომ იცის, რას აკვირდებოდნენ სხვები (ე. ი. უნდა მიუთითოს სხვა პუბლიკაციებზე). თანამედროვე მეცნიერი მნიშვნელოვანწილად მეორე ხარისხის დაკვირვებითაა დაკავებული. მესამე მაგალითად ლუმანი ხელოვნების სფეროს ასახელებს, სადაც, ყველაზე გვიან XIX საუკუნიდან მოყოლებული, პირველი ხარისხის დაკვირვება უკანა პლანზე გადადის; ხელოვნება უარს ამბობს ისეთი რამის გადმოცემაზე (*imitatio*), რაც მის ფარგლებს გარეთ დგას და საკუთარ თავზე კონცენტრირდება, საკუთარ თავს არეფლექტირებს. ანალოგიური პროცესის დემონსტრირება შეიძლება მოდერნული ეკონომიკის ან აღზრდის სისტემის მაგალითზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მოდერნულობა რადიკალურ ცვლილებას უკავშირდება როგორც სოციალური სტრუქტურის, ისე სემანტიკის დონეებზე.

დაბოლოს, არის თუ არა ეს თეორია რამენაირად რელევანტური საქართველოსთვის? არსებობს მოსაზრება, რომ ლუმანი

მხოლოდ „ევროპაში მუშაობს“ – ანუ უკვე ფუნქციონალურად დიფერენცირებულ საზოგადოებაში, ხოლო ისეთ „ჩამორჩენილ“ ქვეყნებს, რომელთა რიცხვს საქართველოც მიეკუთვნება, ჯერ ლუმანის თეორიის შესაბამისი ვითარებისათვის არ მიუღწევიათ. ასეთი წარმოდგენა ძალზე შორსაა სიმართლისგან. ჯერ ერთი, იმიტომ რომ ლუმანი დღევანდელი ეპოქისათვის ე. წ. საზოგადოებებს შორის განსხვავებებს აღარ აღიარებს. მისთვის აზრი დაკარგა განსხვავებამ გერმანულსა და ბრაზილიურ საზოგადოებებს შორის. დღეს არსებობს ერთი, მსოფლიო საზოგადოება, რადგან საზოგადოების მაკონსტიტუირებელი ოპერაცია კომუნიკაციაა, ხოლო კომუნიკაციას დღეს საზღვრები აღარ აქვს. ამიტომ საქართველოც ისეთივე ნაწილია დღევანდელი ფუნქციონალურად დიფერენცირებული მსოფლიო საზოგადოებისა, როგორც აშშ ან გერმანია. ამიტომ, თუ ლუმანის თეორია ვარგისია, ის ჩვენ საქართველოს ვითარების გასაანალიზებლადაც ისევე უნდა გამოგვადგეს, როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყნისა.

თუმცა, ცხადია, განსხვავებები ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და, მაგალითად, საქართველოს შორის არსებობს. ოღონდ ლუმანს არც ამ ტიპის განსხვავებები დაუტოვებია უყურადღებოდ. სამხრეთ იტალიის მაგალითზე ლუმანი განიხილავს პრობლემას, რომლის ანალიზითაც ბევრმა თანამედროვე თეორეტიკოსმა გაითქვა სახელი – ესაა იტალიის სამხრეთის პრობლემა, სადაც, სოციალური სტრუქტურის მიხედვით, დაახლოებით ისეთ პრობლემებს აქვს ადგილი, როგორებსაც საქართველოში. როგორ აიხსნება ეს პრობლემები? ლუმანი უკუაგდება კულტურისა და მენტალობის ცნებებს როგორც არანათელს. მისთვის ჩვეული რადიკალიზმით ის ამტკიცებს, რომ მსოფლიო საზოგადოების ზოგიერთ რეგიონში შიმშილის, პოლიტიკური კორუფციისა თუ რელიგიური კულტის პრობლემა ტრადიციების დანატოვარი კი არაა, რომელიც უნდა ამოიძირკვოს, არამედ თავად მოდერნის კორელატი. მოდერნული საზოგადოება სულ უფრო და უფრო ხდება დაკავებული იმ პრობლემებით, რომლებიც თვითონვე გამოიწვია. სოციალურ კაპიტალზე (საზოგადოების შიგნით ნდობის ხარისხის ამაღლებაზე) ზრუნვა – რითაც, მაგალითად, ისეთი გავლენიანი პოლიტოლოგია დაკავებული, როგორცაა რობერტ პატნემი⁶ – ამ პრობლემებს ვერ უშველის.

ლუმანი არაა დოგმატური პესიმიზმის მომხრე. მაგრამ ის სკეპტიკურადაა განწყობილი არსებული მდგომარეობის გადალახვისათვის მარტივი და უნივერსალური რეცეპტების მიმართ, რეცეპტებისა, რომლებსაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ რამდენიმე ათწლეულში პოპულარობის პიკზე მყოფი მოდერნიზაციის თეორიები იძლეოდნენ. ფორმალურ ორგანიზაციებზე (მოდერნი) არაფორმალური ქსელების (ტრადიცია) „დამყნობით“ მიღებული შედეგი ჰიბრიდია, რომელმაც ფუნქიონირების საკუთარი წესი გამოიმუშავა და რომლის გადალახვაც ევოლუციის ან პოლიტიკური ჩარევის გზით უნდა მოხდეს.

ჩარევას რაც შეეხება, ლუმანი არაა დარწმუნებული, რომ ჩვენ ვიცით, სად და როგორ უნდა ჩავერიოთ პოლიტიკურად. ხოლო რაც შეეხება ევოლუციას, აქ შემოდის დროის ფაქტორი, რომელსაც, ლუმანის აზრით, საკმარისი ყურადღება არ ექცევა. XVII და XVIII საუკუნეებში, როდესაც ევროპის მოდერნიზაცია მიმდინარეობდა, მოდერნი არ ყოფილა პროექტი. დროითი ჰორიზონტი მაშინ ღია იყო – არსებობდა განვითარების მხოლოდ შინაგანი დინამიკა და არა – გარეგანი იძულება. დღეს განვითარებადი ქვეყნებისათვის სრულიად განსხვავებული ვითარებაა – ცენტრსა და პერიფერიას შორის რადიკალური განსხვავება აყენებს მოთხოვნას, რომ ეს განსხვავება უსწრაფესად აღმოიფხვრას. პრობლემა დროითი რეზერვების გაქრობაა.

ლუმანის სოციოლოგიური თეორია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, რომელიც XX საუკუნეში შეიქმნა. დღევანდელ საქართველოში მისი რეციპირება განსაკუთრებით საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს, რადგან ამ თეორიის რადიკალური და სისტემური სკეპტიციზმი (რომ არ ვთქვათ ცინიზმი, რაშიც კრიტიკოსები ხშირად სდებენ ბრალს ლუმანს) კარგ ანტიდოტს წარმოადგენს ზედაპირული, ფრაგმენტული და იდეალისტური შეხედულებებისათვის, რომლებიც დიდწილად განსაზღვრავენ ჩვენში საზოგადოების შესახებ აზროვნებას.

შენიშვნები:

1. N. Luhmann, *Beobachtungen der Moderne* (Opladen 1992).
2. ნიკლას ლუმანი (1927-1998) – გერმანელი სოციოლოგი. სისტემების თეორიული მიდგომის განვითარების შედეგად მან, 60-იანი წლებიდან მოყოლებული, შექმნა საზოგადოების თეორია. ლუმანი განათლებით იურისტი იყო და თავდაპირველად ნიდერზაქსენში ადმინისტრაციულ კარიერას შეუდგა. ჰარვარდის უნივერსიტეტში სწავლის შემდეგ, სადაც ის ტალკოტ პარსონსის სოციოლოგიურ თეორიას გაეცნო, ის გერმანიაში დაბრუნდა და აკადემიური კარიერა აიჩრია ბიელეფელდის ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში. მთავარი ნაშრომები: „სოციალური სისტემები“ (1984), „საზოგადოების საზოგადოება“ (ორ ტომად, 1997). გარდა ტალკოტ პარსონსის სოციოლოგიისა, ლუმანის კონცეფციაზე სერიოზული გავლენა მოახდინა ინფორმაციის თეორიის, კიბერნეტიკის, ბიოლოგიის, მათემატიკური ლოგიკისა და ფილოსოფიის კონცეპტებმა, რაც განსაკუთრებულ სირთულეებს ქმნის გერმანელი ავტორის გაგებისა და ინტერპრეტაციის საქმეში. წინამდებარე სტატიაში შეუძლებელია ლუმანის თეორიის თუნდაც ძირითადი შტრიხების გადმოცემა, ამიტომ მივუთითებ ლუმანის შესახებ ქართულ ენაზე არსებულ სტატიაზე: იხ. ე. ჯგერენაია, „ნიკლას ლუმანის სისტემების თეორია“, წიგნი: *ევროპული ძიებანი* (თბილისი 2007), pp. 108-130.
3. ლუმანისათვის ეს წიგნი საინტერესო უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ თავისთავად, არამედ იმიტომაც, რომ აქ ლიოტარის გერმანელი სოციოლოგიის თეორიას დიდ ადგილსა და ყურადღებას უთმობს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ლიოტარის ინტერპრეტაცია ცალმხრივია და ცდილობს, ლუმანი გარკვეულ იდეოლოგიურ სქემაში მოაქციოს, რაც ხელს უშლის სისტემური თეორიის მთელი კომპლექსურობის აღქმას. მეორე მხრივ, ისიც აღსანიშნავია, რომ ლიოტარის ეს წიგნი ლუმანის თეორიის საერთაშორისო რეცეპციის ერთ-ერთი პირველი და, იმ დროისათვის უდავოდ ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითია.

4. N. Luhmann, *Die Gesellschaft der Gesellschaft*, Bd.2 (Frankfurt a. M. 1998), 634-776; N. Hayoz, *Société, politique et état dans la perspective de la sociologie systemique de Luhmann*, (Geneve 1991, pp. 46-55).
5. N. Luhmann, *Beobachtungen der Moderne*, p. 11.
6. რ. პატნემი, როგორ ვამუშავოთ დემოკრატია. სამოქალაქო ტრადიციები თანამედროვე იტალიაში (თბილისი 2005); იხ. ასევე გ. ზედანია, „სოციალური კაპიტალის მრავალგანზომილებიანობა“, საზოგადოება და პოლიტიკა (თბილისი, 2005), pp. 310-318.